



## პრესრელიზი

"დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდისა" და "ხელოვნების სასახლის" ერთობლივი პროექტი - „ეროვნული სალარო“ და 42 შეძენილი ნივთი

ერთი წლის განმავლობაში „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“ „ხელოვნების სასახლისთან“ ერთად პროექტ „ეროვნული სალარო“ ფარგლებში 42 ძვირფასი ხელოვნების ნიმუში შეიძენა. 42-ვე ნივთი დღეს უკვე ხელოვნების სასახლის კუთვნილებაა და სამუზეუმო სივრცეში დაიდებს ბინას. ნივთების უმეტესობა კერძო კოლექციებიდანაა გამოტანილი, ბევრი მათგანი ქვეყნიდან გასატანად უკვე მზად იყო. მათ შორის ე.წ შავი არქეოლოგიის გზით მოპოვებული ძვ. წელთაღრიცხვის მინიატურული ქანდაკებები.

საბოლოო ჯამში ფონდისა და ხელოვნების სასახლის ძალისხმევით შეგროვდა უნიკალური საგანძური, რომელიც მაისში გრანდიოზულ გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი!

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ მიერ შეძენილი ნახატები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, ფოტოები, არქეოლოგიური ნივთები:

1. ეკატერინე ჭავჭავაძის მარაო- მოოქროვილი და მოხატული. ესპანეთი. მე-19 საუკუნე
2. დადიანების ვერცხლის სასმისი მხედრული წარწერით. საქართველო. მე-19 საუკუნე
3. ირაკლი გამრეკელი: ავტოპორტრეტი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
4. პეტრე ოცხელი: დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
5. პეტრე ოცხელი: დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
6. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფოტო ალბომი. ტყავზე შესრულებული გრავირებით. მე-19 საუკუნე
7. ზაქარია ფალიაშვილის არქივი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
8. სერგო ქობულაძე- ქალის პორტრეტი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი
9. ჰოლანდიური პეიზაჟი. ყინული ტბაზე. მე-19 საუკუნე
10. გალაქტიონ ტაბიძის ხელნაწერი აფიშა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
11. ზაქარია ჭიჭინაძის არქივი. მე-19-20 საუკუნეები



## პრესრელიზი

12. მხატვრის პალიტრა, მოხატული. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
13. მადონა ჩვილით. ლეონარდო დავინჩის სკოლა. მე-18 საუკუნის ბოლო, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
14. შავი ხის ბული. მოხატული ფაიფურის დეტალებით. საფრანგეთი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
15. ხის კონსოლები. რუსეთი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
16. ჩინური შირმა . სპილოს ძვლითა და სადაფებით გაფორმებული. მე-18 საუკუნის დასასრული, მე-19 საუკუნის დასაწყისი
17. ილია ჭავჭავაძის ჯოხი გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომლებისაგან. წარწერით. მე-19 საუკუნის ბოლო, მე-20 საუკუნის დასაწყისი
18. მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურა. ძვ.წელთაღრიცხვის 7 -6 საუკუნე
19. ჯიხვის ბრინჯაოს ფიგურა. ძვ.წელთაღრიცხვის 7-6 საუკუნე
20. ფლამანდრიული მაგიდა, ინკრუსტირებული. მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი
21. ველდმანი „ტყის პირას“. გერმანული პეიზაჟი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
22. ნ.მოროზოვი „გემი დაილუპება“ რუსული მარინისტული ტილო. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
23. უცნობი ავტორი: „ზამთარი ტყეში“. რუსული პეიზაჟი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი
24. ვახტანგ ჯაფარიძე(1901-1986) (საქართველოს სახალხო მხატვარი). ნატიურმორტი ქართული ხილით. საქართველო. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი
25. ვახტანგ მეექვსის მწვანე ხავერდის მოსასხამი. ოქრომკედითა და მარგალიტებით. ფილმიდან „დავით გურამიშვილი“. მე-19 საუკუნე
26. ქართველი თავადის კოსტიუმი (ხავერდი, ოქროს მელნით მოხატული). ფილმიდან „გიორგი სააკაძე“. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
27. ხავერდის ქულაჯა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
28. ხავერდის ქულაჯა. მე-19 საუკუნის ოქრომკედით



## პრესრელიზი

29. საშინაო ჩოხა. გიორგი შავგულიძის ნაქონი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
30. თავადის ჩოხა. მე-19 საუკუნის ოქრომკედით
31. ყურთმაჯებიანი ჩოხა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
32. ხავერდის მოხატული ჩოხა. მე-19 საუკუნის ვერცხლმკედით. ფილმიდან „გიორგი სააკაძე“. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
33. ზუბუნი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
34. მამაკაცის ზედატანი. ევროპა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
35. ზუბუნი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი. ფილმიდან „მამლუქი“
36. სამამაკაცო ხავერდის კაზა. მე-18 საუკუნის ვერცხლმკედითა და მარგალიტებით. ფილმიდან „დავით გურამიშვილი“
37. სამამაკაცო კაზა. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
38. სამღვდლო ფილონი. ფარჩა, ვერცხლმკედი. მე-18 საუკუნე
39. ქურთული კაზა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი
40. ხევსურული ტალავარი. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი
41. ხევსურული მანდილი. ფილმიდან „შეხვედრა მთაში“. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი
42. რაჭის ერისთავების ყაბალახი. ოქრომკედითა და ვერცხლმკედით დამშვენებული. მე-19 საუკუნე

---

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი,“ საგანმანათლებლო საქველმოქმედო, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც 2015 წელს დაარსდა. ფონდის დამფუძნებლებითვლიან, რომ განათლება განვითარებული, თანამედროვე, დემოკრატიული ქვეყნის მთავარი ღირებულებაა.